# საიას დახმარებით დევნილი ოჯახი საცხოვრებელს მიიღებს

საიას ზუგდიდის ოფისი იცავდა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირის ინტერესებს, რომელიც სსიპ დევნილთა, ეკონომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ედავებოდა საცხოვრებლით დაკმაყოფილების საკითხზე. კერძოდ, მოსარჩელე ასაჩივრებდა იმ გადაწყვეტილებას, რომლითაც უარი უთხრეს საცხოვრებლის გადაცემაზე.

სამივე ინსტანციის სასამართლოში დავა დევნილის სასარგებლოდ გადაწყდა. სასამართლომ ბათილად ცნო სსიპ დევნილთა, ეკონომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს გადაწყვეტილება მოსარჩელე მხარისთვის საცხოვრებელი სახლით დაკმაყოფილებაზე უარი თქმის შესახებ. ასევე, მოპასუხე მხარეს დაევალა ახალი აქტის გამოცემა, რომლითაც აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახი საცხოვრებლით იქნება უზრუნველყოფილი.